



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 26 მარტის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 19 საათი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, მამუკა ნოზაძე, ციცილო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდეზაძე, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) **ნინო საათაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა

ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო საათაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

ბ) ბელა შამათავას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ბელა შამათავას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

გ) სალომე ხოზრევანიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2018 წლის 17 სექტემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან სალომე ხოზრევანიძის მიერ 2018 წლის 21 აგვისტოს განცხადებაზე თანდართული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 7 მარტს სალომე ხოზრევანიძემ წარმოადგინა ცნობა ადვოკატ ავთანდილ შენგელიასთან სტაჟირების გავლის თაობაზე 2018 წლის 12 თებერვლიდან - 2019 წლის 20 თებერვლამდე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირი ირიცხებოდა ასოციაციის სტაჟიორთა ერთიან სიაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მოთხოვნის თანახმად და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია ამავე კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე ხოზრევანიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ მარინე ავალიშვილისა და თინა პაპიაშვილის მიერ ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი მარინე ავალიშვილისა და თინა პაპიაშვილის განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: ვალერი ხითაროვი, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირები: შორენა ბოლქვაძე, დავით მაკარაძე, ია ჩხეიძე, დავით არჩვაძე, გიორგი ბეგაშვილი, ირაკლი ბრეგაძე, ფიქრია კენჭოშვილი

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავ კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: შორენა ბოლქვაძეს, დავით მაკარაძეს, ია ჩხეიძეს, დავით არჩვაძეს, გიორგი ბეგაშვილს, ირაკლი ბრეგაძეს, ფიქრია კენჭოშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. 2005-2010 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა დავალიანებისგან გათავისუფლების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის იმ წევრების შესახებ, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებით 2005-2010 წლებში ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, შეუწყდათ უფლებამოსილება და მას შემდეგ აღარ მოუმართავთ ასოციაციისთვის ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

თავმჯდომარემ წევრებს მიმართა ინიციატივით 2005-2010 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირების საწევრო დავალიანებისგან სრულად გათავისუფლების თაობაზე, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მომართონ ასოციაციას ხელახლა გაწევრიანების თაობაზე, საწევრო დავალიანების გადახდის გარეშე.

წევრებმა განიხილეს თავმჯდომარის ინიციატივა და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ასოციაციის წევრები, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებით 2005-2010 წლებში ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუწყდათ ასოციაციის წევრობა, სრულად გათავისუფლდნენ საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან.

საკითხი 5. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების შესახებ დავალიანების მქონე წევრთა გაფრთხილების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა შესახებ და განმარტა, რომ მიზანშეწონილია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე ასოციაციამ უზრუნველყოს საწევრო დავალიანების მქონე წევრების გაფრთხილება არსებული დავალიანების შესახებ.

წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ასოციაციის 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება, ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საწევრო დავალიანების გადახდის შესახებ.

საკითხი 6. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ბადრი მაჭარაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მქონე წევრი და ითხოვდა აღნიშნული სტატუსის მქონე ასოციაციის წევრების გათავისუფლებას ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრულია ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც ვრცელდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშელავათო საწევრო გადახდის ვალდებულება, რომლის თანახმად ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ 50%-იანი საწევრო შეღავათით.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ა) არ დაკმაყოფილდეს ბადრი მაჭარაშვილის განცხადება ომისა სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მქონე ასოციაციის წევრების ყოველწლიური საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განცხადების ავტორს.

საკითხი 7. ასოციაციის კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების დამტკიცება

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად დამტკიცებული ასოციაციის თბილისისა და რეგიონების კომიტეტების წევრთა შერჩევის მიზნით, 2019 წლის 27 თებერვლიდან - 18 მარტამდე, მიმდინარეობდა განცხადებების მიღება, როგორც თბილისის, ასევე რეგიონულ (კახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა) კომიტეტებში გაწევრიანების მსურველი პირებისაგან.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კომიტეტების წევრობის სურვილი გამოთქვა 400-მდე ადვოკატმა.

წევრები დეტალურად გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ განცხადებებს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს თბილისისა და რეგიონების კომიტეტების თავმჯდომარეებისა და წევრების ახალი შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 8. კომიტეტების წევრებისა და ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების სავალდებულო კრედიტ-საათებისგან გათავისუფლების საკითხის განხილვა და განგრძობადი იურიდიული განათლების წესში ცვლილებების შეტანა

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო განგრძობადი იურიდიულ განათლების წესების მე-9 მუხლის, 9.1. პუნქტში მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება რომლის თანახმად, კრედიტ-საათების დაგროვებისთვის გარკვეული შეღავათები გავრცელდება შემდეგი კატეგორიის ადვოკატებზე რომელთაც/რომლებიც:

- აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვთ ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სტატუსი და წლის განმავლობაში მათთან სტაჟირება გაიარა ადაპტაციის პროგრამის მინიმუმ ერთმა მონაწილემ;
- არიან ასოციაციის კომიტეტების წევრები და წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის მინიმუმ სამ სხდომაში;

წევრებმა გაიზიარეს ინიციატივა განგრძობადი იურიდიულ განათლების წესებში შესატანი ცვლილებების შესახებ და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების წესების მე-9 მუხლის, 9.1 პუნქტში შესატანი ცვლილებების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 9. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ ესმა ნორაკიას განცხადებას, რომლითაც ითხოვდა სიით ნომერში (1574/1) ცვლილების შეტანას და „/1“-ის გაუქმებას, რადგან თვლიდა, რომ ნომერი 1574/1 იყო დისკრიმინაციული.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სიითი ნომერზე „/1“-ის დამატება განპირობებული იყო აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც ასოციაციის წევრებს რომელთაც ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუწყდათ წევრობა და ამის შემდეგ ხელახლამომართეს ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე, იდენტიფიცირების მიზნით სიითი ნომერს დაემატა „/1“.

აღნიშნულ საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატ ესმა ნორაკიას განცხადება და მიენიჭოს სიითი ნომერი 1574 „/1“-ის გარეშე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე